1890 წელსა, № 5 15 მარტს.

მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით . . .	5 მან.	12 თთვით . . .	6 მან.
6 — . . .	3 —	6 — . . .	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ მადრესით: *въ Кеврилы, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და ცასაგებად უნდა იყვნენ აკტორთაგან ხელმოწერილნი. აკტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება აკტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

კიდევ საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენს ხალხს გულითა სურს რუსული ენა ასწავლოს თავის შვილებს. აგრეთვე ცხადია ისიც, რომ ეს ხალხი უმეტესად თავის შვილებს აძლევს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სასწავლებლად, ვინემ საერო სასოფლო სასწავლებლებში. ეს სასიხარულო მოვლენა ჩვენ აღვნიშნეთ ამას წინეთ ჩვენი გამოცემის ერთ მოწინავე წერილში. ამ წერილშივე ჩვენ, სხვათა შორის, უჩვენეთ მკითხველებს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენს ხალხს განათლების საქმეში. მაგრამ ეს საგანი იმოდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა მოველაპარაკოთ მასზე მკითხველებს.

მართველი ერი, რომელიც ძველიდგანვე მიჩეულია სწავლა-განათლების მიღებას მონასტრებში და ეკლესიებთან, უფრო ელტვის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ განათლებას და ამიტომ იგი უფრო თანაგრძნობით შეხვედრის საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, ვინემ საერო სასოფლო სასწავლებლებს. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენის აზრით, სოფლის მდაბიო ხალხისათვის უფრო საჭიროა ის განათლება, რომელსაც ის იღებს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში: რომელი სწავლა-განათლებას უფრო შეუძლია დაკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილებანი ჩვენი ხალხისა, თუ არა სწავლას სარწმუნოებაზე და ქრისტიანობრივს ზნეობაზე?! ამითი ჩვენ სრულებით იმას არ ვამტკიცებთ, რომ ხალხისათვის, თითქო, საჭირო არ იყოს წერა-კითხვის ცოდნა, გონებითი მისი განვითარება საერო საგნების შესწავლით, მაგრამ ვიმეორებთ, რომ ეს უკანასკნელი არ არის ერთად ერთი უმთავრესი მიზანი ხალხის განათლებისა,—ეს უფრო საშუალებაა, რომელიც გეიადვილებს განათლების უმთავ ესი მიზნის მიღწევას, და ეს მიზანი ხომ მასში მდგომარეობს, რომ ხალხში განმტკიცდეს სარწმუნოება, ზნეობა და პატიესცემა ყოველივე ეკკლესიური და სასულიერო-სარწმუნოებრივისადმი.

რამოდენიც გინდათ, იმოდენი გახსნილი საერო სასოფლო სკოლები სოფლებში, მაგრამ ამით ჩვენ სრულიადაც ვერ აღვადგენთ ხალხში სარწმუნოებას,

ვერ ავამაღლებთ ზნეობას, ვერ მოვსპობთ ხალხში ამაოდ-მორწმუნეობას. საერო სასოფლო სკოლების მეოხებით, მართალია, მატულობს საზოგადოებაში წერა-კითხვის მცოდნე პირთა რიცხვი, მაგრამ რადგან ამ პირთ ხეირიანად არა აქვსთ შეთვისებული სწავლა სარწმუნოებაზე და ქრისტიანულს ზნეობაზე, ამიტომ იგინი თავიანთ სწავლა-განათლებას ხშირად სხვა და სხვა საეშმაკო და საკლიაუზო საქმეებში ხმარობენ, რაისა გამო ხალხი სულ სხვა შეხედულებას ადგენს ამისთანა ნასწავლ პირებზე. ამიტომაც ჩვენი ხალხი უპირატესობას აძლევს საეკლესიო-სამრეველო სკოლებს საერო სასწავლებლების წინაშე. ორიან აგრეთვე მრავალი მიზეზნი, რომელთა გამო ჩვენი ხალხი მაინცა-და-მაინც დიდად არ ეტანება საერო სკოლებს. ყველა ჩვენთაგანმა იცის, რომ საქართველოში, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში თითოეული საზოგადოება შესდგება რამოდენიმე სოფლისაგან, რომელნიც ერთი ერთმანეთზე ხშირად ხუთი-შვიდი ვერსით არიან მოშორებულნი. სოფლებ შუა ჩადის მდინარეები და ღელეები, რომლებშიაც წყალდიდობის დროს შეუძლებელი ხდება გასვლა რიგიანი ხიდების უმექონებლობისა გამო. ამისთანა საზოგადოებაში მარტო ზოგიერთი სოფლების მკვიდრთ შეუძლიათ ისარგებლონ საზოგადოების სკოლით, ხოლო დანარჩენი სოფლების მკვიდრნი ვერ აგზავნიან თავიანთ შვილებს ამ სკოლებში, თუმცა მათ შესანახავად ფულებს კი იხდიან ყოველ წლობით. ბანა ეს კანონიერია?

იმ სოფლების მკვიდრნი, რომელნიც თავის საზოგადო სკოლაში ვერ აგზავნიან შვილებს სიშორისა და ხეირიანი გზების უმექონებლობისა გამო, დიდის სიხარულით ეგებებიან თავიანთ სოფლებში საეკლესიო-სამრეველო სკოლების გახსნას და, თავის შეძლებისა და გვარ, იგინი ნივთიერადაც ეწევიან ამ სკოლებს. მაგრამ ამ საქმეში დიდ დაბრკოლებას აძლევს ხალხს ზოგიერთი საერო სასწავლებლების დირექციები, რომელნიც უწმიდესი სინოდის უქაზის ძალით, გამოცემულის ოცდა შვიდს ივლისიდგან 1884 წ. № 1407, უშლიან ხალხს საეკლესიო-სამრეველო სკოლების გახსნას იმ ადგილებში, სადაც უკვე იმექონებიან საერო სკოლები. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ხალხს სურს სწავლა და ამისათვის არა შურავს თავის ნივთიერს შეძლებას. ბანა უარი უნდა უთხრათ ხალხს ამ კეთილს საქმეში იმიტომ მხოლოდ, რომ იმ საზოგადოებაში, რომელზედაც ხსენებული სოფელია მიწერილი, არსებობს საზოგადოების სკოლა, რომელიც ყველა სოფლელებს არ ეხმარობათ? ასეთი მოქმედებით ჩვენ ცხადად დავამტკიცებთ, რომ, ვითომც, საერო და საეკლესიო-სამრეველო სკოლების მიზანი და დანიშნულება ერთი და იგივე არ იყოს. ოლრივე ეს სკოლები ემსახურებიან ხალხის განათლების საქმეს და ამ ასპარეზზე ერთი ერთმანეთს ეხმარებიან. თუ კი ადგილობითი საერო სკოლების დირექციების პირდაპირი მიზანი ის არის, რომ ხალხში გაამრავლონ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი და არა მარტო ფორმალურად გახსნან სკოლები საზოგადოებაში და იმის განსჯაში კი არ შევიდნენ, თუ ხსენებულის საზოგადოების ყველა სოფლების მკვიდრთ შეუძლიათ დაარსებული საზოგადო სკოლით სარგებლობა თუ არა, მაშინ მათ, ნაცვლად აღკრძალვისა და დაშლისა, ხელი უნდა მოუწყონ სამრეველო სკოლების გახსნას იქ, სადაც მკვიდრნი ვერ სარგებლობენ საზოგადო სკოლებით რაიმე პატიე სადები მიზეზებისა გამო. სამრეველო სკოლების გახსნა იმ სოფლებში, რომელნიც დაშორებულნი არიან საზოგადოების სკოლებს, სრულებით დაშლილი არ არის უწმიდესი სინოდის ზემოთ აღნიშნული უქაზით. ბი რა სწერია ამ უქაზში: «იმ ადგილებში, სადაც უკვე არსებობენ საერო სკოლები, საეკლესიო-სამრეველო სკოლები იხსნებიან ადგილობითი დირექციების თანახმობით». ამ სიტყვებიდგან სრულებით ის არ გამოდის, რომ საეკლესიო-სამრეველო სკოლების გახსნა ზემოთ აღნიშნულ ადგილებში დაშლილი იყოს, რადგან, თუ მართალს ვიტყვით, ამ ადგილებში სრულებით არაფითარი სკოლები არ მოიძევიან.

საქართველოს საეპარხოსოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მრავალს საზოგადოებაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებშიაც უკვე არსებობენ საერო სკოლები, სოფლის სამრეველოების უმეტეს ნაწილს არ შეუძლია ამ სკოლებში შვილების მიცემა სიშორისა გამო. ნუთუ ამისთანა სამრეველოები უნდა მივაწეროთ იმ ადგილებს, რომელთაც, ვითომ, აქვსთ სკოლები და ამიტომ მათ ნება არ მივსცეთ საეკლესიო-სამრეველო სკოლების დაარსებისაჴ! რასაკვირველია არ შეიძლება და უკანონოც იქნება ესეთი მოქმედება და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უწმიდესი სინოდი არასოდეს წინააღმდეგი არ იქნება, რომ ამისთანა სამრეველოებში დაარსდენ საეკლესიო—სკოლები, თუ კი სამრეველონი ისურვებენ სკოლის გახსნას და მასთან ნივთიერ დახმარებასაც აღმოუჩენენ ამ სკოლას.

მაგრამ, სანუგეშოდ, ჯერ კიდევ გარდაწყვეტილი არ არის ეს საკითხვა,—და ამიტომაც სახალხო სკოლების დირექტორები ზოგიერთ ადგილებში დღესაც ეწინააღმდეგებიან საეკლესიო სკოლების გახსნას. ხალხს ჴგონია, რომ უწმიდესი სინოდის ზემოთ მოხსენებული უქაზის ძალით მართლა არ შეიძლება საეკლესიო სკოლების გახსნა იმ საზოგადოებაში, სადაც უკვე არსებობენ საერო სკოლებიო და ძალა უნებურად ემორჩილებიან დირექტორების და მათი თანაშემწეების ბრძანებას. მაგრამ ხალხი, რომელსაც სწყურია განათლება, მაინც ცდილობს როგორმე აიცდინოს თავიდამ ეს დაბრკოლება და ამისათვის ბევრგან მთელი საზოგადოება იკრიბება და, შემდეგ ჯეროვანი მოლაპარაკებისა, ადგენს შემდეგ განაჩენს: «ეთხოვოს, ვისიც რიგია, ნება მიეცეს მათ, რომ თავისი სასოფლო სკოლა საეკლესიო-სამრეველო სკოლად გადაკეთონ და ნაცვლად ერთი სკოლისა გაიხსნას საზოგადოებაში რამოდენიმე სკოლა საჭიროების დაგვარად; ამასთან ჩვენ თავს ვალდებულად გავხდით ამ სკოლების შესანახავად შეეიტანოთ ის ხარჯი, რომელიც ჩვენ შეგვაქვს დღეს საზოგადო სკოლის სასარგებლოდ. ამ განაჩენებს ჯეროვანის თხოვნებით უდგენენ ხან ყოველად სამღვდელოებს, ხან ეპარქიალურ საეკლესიო-სამრეველო სკოლების რჩევათა, ხან გუბერნატორს, მაგრამ დღემდის ხალხის ამ კანონიერს თხოვნას არავინ ყურადღებას არ აქცევს—და განაჩენები თხოვნებით უყურადღებოდ რჩებიან. რა მიზეზია რომ ხალხის კანონიერს თხოვნას არ აკმაყოფილებენ?

შეიძლება ახალი სკოლების გახსნის ნებას იმიტომ არ აძლევდენ ხალხს, რომ ამ სახით უფრო მალე შეიძლებოდეს განათლების გავრცელება ხალხში. მაგრამ როგორ გავრცელდება ხალხში სწავლა-განათლება, თუ კი ხალხს არ მივსცემთ სკოლების გახსნის ნებას იქ, სადაც იგი საჭიროებს სკოლებს. ესეთი მოქმედებით უფრო შეფერხდება განათლების საქმე. ვინემ წინ წაიწევს. ჩვენის აზრით რომელიმე საზოგადოებაში რამოდენიმე საეკლესიო-სამრეველო სკოლის დაარსება, ნაცვლად ერთი საზოგადო სკოლისა კიდეც რომ უკანასკნელი გადაკეთებულ იქმნეს სამრეველო სკოლად, არ უნდა იყოს წინააღმდეგი მდგომი ხალხში განათლების გავრცელების საქმისა. აქ უფრო სხვა რაღაცა იმალება და საჭიროა, რომ ეს საგანი ჯეროვანად განმარტებულ იქმნეს მკოლნე პირთაგან. ამ კითხვის განმარტება მით უმეტეს საჭიროა, რომ სამრეველო სკოლების შესახებ ერთ ნაირად არ უცქერიან ყველგან დირექტორები.

აქედამ ცხადია ყველასათვის, რომ ხალხი თავისთავად სურვობს საერო სკოლების საეკლესიო-სამრეველო სკოლებად გადაკეთებას. ამ საქმეში იგინი სრულიად პატივ-სადები გარემოებით ხელმძღვანელობენ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ არიან ისეთი პირნი, რომელნიც არა თანაუგრძნობენ საეკლესიო-სამრეველო სკოლების დაარსების საქმეს, მაგრამ ამ თავის განძრახვას მალვენ და ამტკიცებენ, ვითომც საზოგადო სკოლების საეკლესიო სკოლებად გადაკეთებას, ურჩევდეს ხალხს საერო სკოლების მტერნი, რომელნიც ეჭვის თვალით უცქერიან საზოგადო სასოფლო სკოლებს და სურთ მათი გადაკეთება სამრეველო სკოლებად, კიდეც რომ ამას საჭიროება არ ითხოვდესო. მაგრამ ამაზე უფრო საზარელი ცილის წამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნება განა? ამისთანა სიტყვებით ეს ბატონები ცხალათ ამტკიცებენ, რომ იგინი ჩვენს ხალხს კარგად ვერ იცნობენ. *)

ეს ვაჟბატონები ჩვენც ეჭვის თვალით გვიცქერიან და ამტკიცებენ, ვითომ არცჩვენ ვიყოთ თანამგრძნობელი საერო სკოლებისა ⁄ განძრახ ვამტკიცებდეთ, რომ ხალხი ვითომ უფრო თანაუგრძნობს საეკკლესიო-სამრევლო სკოლებსაო. მაგრამ ჩვენ გაბედულად შეგვიძლია მოვახსენოთ ამ ბატონებს, რომ ახას დროს ჩვენ ჩვენს მსჯელობაში გარდა სიმართლისა და საქმისადმი სიყვარულისა არა გვქონია რა სახეში და არც დღეს გვაქვს რაშე ამ საქმის შესახებ.

დეკ. დავით ლამბაშიძე.

თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდამ.

წარსული თებერვლის თვის 27 თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფენი საუკეთოდ გამოეთხოვენ ერთ თავის ამხანაგს, მეხუთე კლასის მოწაფეს ანდრია შანოგენოვს. შემდეგ ხანგრძლივის და სასტიკი ტანჯვისა ფილტვების სნეულებით, ხსენებული მოწაფე გადაიცვალა 24 თებერვალს. განსვენებული შთამომავლობით იყო რუსის ყაზახთაგანი. პირველად სწავლობდა სტავროპოლის სემინარიაში, მაგრამ ექიმების რჩევით თბილისის სემინარიაში გადმოვიდა. სულ ერთი წელიწადი სწავლობდა აქ. თუმცა დიდი იმედი ჰქონდა განსვენებულს აქაური ჰაერისა, მაგრამ მასს დიდი შეღავათი არ მისცემია. განსვენებული სწავლობდა სემინარიის მეხუთე კლასში და ერთი ნიჭიერ მოსწავლეთაგანი იყო. ნამეტანი სიხალისე და სურვილი სწავლისა განსვენებულს უფრო უმოკლებდენ დღეს...

27 თებერვალს წირვა და წესის აგება სემინარიის ეკკლესიაში შეასრულა თვითონ რექტორმა თავის კრებულით. განსვენებულის ამხანაგებმა გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს. განსვენებულის კუბოსთან არც დედა, არც მამა და არც არავინ მონათესაეთაგანი არა სჩნდა და ეს გარემოება თითქმის ყველას უწყლიედა გულსა, მაგრამ განსვენებულის დედ-მამის და მონათესაეთა მაგიერ თქვენ ხედავდით სემინარიის რექტორს, მასწავლებლებს და მოწაფეთა, რომელნიც თვალ ცრემლიანები დედ-მამის და მონათესაეთა მოვალეობას აღსრულებდენ. არავინ დარჩენილა ეკკლესიაში ისეთი, რომ განსვენებულის ამხანაგების მგრძნობიარე სიტყვას გული არ აეჩვილებინოს და თვალიდამ ცრემლები არ ედინებინოს.. განსაკუთრებით ერთმა ქარხველმა მოსწავლემ ტბლიაშვილმა ისეთი მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა, რომ ყველას ქვითინი დაუწყებინა. „შენ, განსვენებულო ძმაო, ანდრია, სთქვა ტბლიაშვილმა, ეეედრები მონათესაეთა ცრემლი და ღვარონ და გამოგეთხოვონ უკანასკნელად, მაგრამ სად არიან ეხლა შენი მშობელნი და მონათესაენი! არავინ არ გხედავს შენ ეხლა და ვერ გემსახურებიან, მაგრამ შენი დედ-მამის და მონათესაეების მაგიერ გარს გაგვეგვან შენი უმეროსები და შენი ამხანაგები, რომელნიც ცრემლს ღვრიან და სწუხრან შენს მოშორებას“...

განსვენებული დიდის პატივით წაასვენეს სასაფლაოზედ. საფლავამდის განსვენებულს გაჰყვა მამა რექტორი თავის კრებულით.

* *
*

4 მარტს, სალამოს ექვს საათზედ სემინარიის ეკკლესია, თითქმის, სავსე იყო ხალხით, რომელიც მოსულიყო საუბრების მოსასმენად. არც ერთი

*) აქ უნებლიეთ გვაგონდება მშვენიერი წინადადება უ. შემიაკინისა, რომელიც დაესწრო ქართლის ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების რჩევის ერთ კრებაზე თბილისში, რ

ეკლესიაზედ იძოდენი ხალხი არ დაიარება, რამოდენიც ხემინარიის ეკლესიაში როგორც წირვა-ლოცვის, ეხე საუბრების და სწავლა-მოძღვრების მოსასმენად. ამის მიზეზი ის არის, რომ სემინარიაში წირვა ლოცვა სრულდება წესიერად და ეს წესიერება იზიდავს კიდეც ეკლესიაში მლოცველებს. ოთხს მარტს ისაუბრეს ორმა მასწავლებელმა და ძ. ი. სლოვინსკიმ და ბ. ალბოვმა. სლოვინსკის თავის საუბრის საგნად ჰქონდა აღებული საულის შვილი იონაფანი. მოსაუბრემ ცხადათ დახატა იონაფანის თავგანწირული ღვაწლი თავის მეგობარ დავითა და სამშობლოის შესახებ, თუმცა ამ მოღვაწეს მადლობის მაგიერ წილად ხვდა დევნა და მრავალ გვარი ტანჯვა თვით მამისაგან. სლოვინსკის სიტყვებმა ძლიერ კაი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე. ბატონმა ალბოვმა წარმოსთქვა სიტყვა ჯვარზე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ბურიის იოანნე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბერასიმე გვეხოვეს გამოეაცხადოთ, რომ მისდამი რწმუნებულს მონასტერში იგი ასწავლის მსურველთ უსასყიდლოთ საეკლესიო წიგნებს, ტიბიკონს და წირვის წესს. სიამოვნებით ეასრულებთ მისს თხოვნას და თანაც დავსძენთ, ჩვენის მხრით, რომ ამ კეთილ საქმეს მამა არქიმანდრიტი ბერასიმე აღასრულებს სრულის ცოდნით და სინდისით.

* * *

1888 წელში თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებამ დაადგინა, რომ ეპატიეგებინა სამღვდელოებისათვის ოთხასი თუმანი ვალი აწყურის წმიდის გიორგისა (თეთრი გიორგისა). ამ შუამავლობაზედ მისმა მაღალ. ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ ბრძანა, რომ საკუთარი თხოვნა მიეცა მათი მეუფებისათვის სამღვდელოებას. ამ წარსულს 1889 წელში სამღვდელოების ყრილობამ მიართვა საკუთარი თხოვნა მათ მეუფებას ამ საგანზედ. მათმა მეუფებამ კეთილი ინება და სამღვდელოებას აპატიეა ზემოთ აღნიშნული ვალი.

ჭეშმარიტად დიდი და დაუეიწყარი მოწყალება მოიღო სამღვდელოებაზედ მწყემსთ-მთავარმა. ამ ეკლესიის შემოსავალმა დიდი შემწეობა მისცა არა მარტო თელავის სასულიერო სასწავლებელს, არამედ თბილისის ეპარქიალური საქალებო სასწავლებელსაც, რომელზედაც რამდენიმე ასი თუმანი დახარჯა.

ჭერ-ჯერობით «თეთრ-გიორგის ეკლესიას» განაგებს უფარელის ბლაღოჩინი დეკანოზი ნ. ხუცეეი. პრაეინ უწყის, თუ რა მიზეზით გამოაპარეს ეს ტაძარი განსვენებულს დეკანოზს ი. მრეველოვს, რომლის საბლაღოჩინოშიაც იმყოფებოდა იგი დიდის ხნობით.

* * *

სოფელ ბაბიდგან (მორაპნის მაზრაშია) გვწერენ: ჩვენი სოფლის წმიდა გიორგის ეკლესიას დიდი შემწეობა აღმოუჩინა ადგილობითი მცხოვრებმა გლეხებმა ივანე ხ. ჭედლიძემ და პეტრე ს. ბარბაქაძემ. პირველმა მათგანმა თავის საკუთარის ხარჯით აღაშენა სამრეკლო, რომელზედაც დახარჯა სამოცი თუმანი, ხოლო მეორემ შემოსწირა ეკლესიას ჯვარი, ღირებული თორმეტ მანეთად. სწორედ მადლობის ღირსნი არიან აღნიშნულნი პირნი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ მიბაძველნი აღმოუჩნდებიან ამ სოფელში.

* * *

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, თუ რა ცუდი ,ზედგაჭლენა იქონია ახლად მონათლულ აფხაზებზე იმ განკარგულებამ, რომლის ძალითაც მაჰმადიანი აფხაზები განთავისუფლებული იყვნენ სამხედრო ბეგრისაგან, ხოლო მონათლულები კი უნდა გაეყვანნ სალდათად. ეს განკარგულება, ჩვენის აზრით, ძალიან დაბრკოლებდა ქრისტიანობის გავრცელების საქმეს აფხაზეთში. ეხა თუ მაჰმადიანი აფხაზები ალარ ისურვებდენ მონათვლას, მონათლულებიც მიატოვებდენ მართლ-მადიდებლობას და ხელ-ახლად მაჰმადის სარწმუნოებას ზიიღებდენ, რომ ამით ასცილებოდენ სალდათად გაყვანას. ამ საგანს ჩვენ მაშინვე მივაქციეთ ყურადღება და ჩვენს გამოცემაში არა ერთგზის გამოვსთქვით ის აზრი, რომ ახლად მონათლული აფხაზნი გაეთავისუფლებათ სამხედრო ბეგრისაგან. ამავე საგნის შესახებ, გარდა გაზეთის სიტყვისა, ჩვენ წერილებით და სიტყვიერათაც, პეტერბურგში ჩვენი მყოფობის დროს, ზივმართეთ სასულიერო უწყების უმაღლეს პირთა, რომელთაც ჯეროვანი ყურადღება მიქციეს ამ საგანს და დადეპირდენ ამ საქმის ჯეროვანად გათავებას. ღღეს მართლ-მადიდებელ აფხაზთა და მათ სამღვდელოთა სასიხარულოდ უნდა გამოეცხადოთ, რომ ახლად მონათლულნი აფხაზნი სალდათად ალარ გაიყვანებიან.

***

ღღემდის ჩვენს სამღვდელოებას ეარა ჭქონდა თავისათვის საჭირო და სასარგებლო კალენდრები. ამიტომ ამ მდგომარე წლისათვის ჩვენ გამოვეცით ხელად ამ გვარი კალენდარი და კიდეც დაურიგეთ ადგილობით ზოგიერთ ბლაღოჩინებს და კერძო პირებს გასასყიდლად. ღღეს მრავალნი პირნი გეთხოვენ ამ კალენდრებს, მაგრამ ვერც ერთი პირის თხოვნას ვერ ეაკმაყოფილებთ, რადგან ამ კალენდრის ერთი ცალიც ალარ მოგვეძევება. მორჩილად ვსთხოვთ იმ ბლაღოჩინებს, რომელთაც ჩვენ ეს კალენდრები გაუგზავნეთ გასასყიდლად, უკანვე დაგვიბრუნონ ჩვენის ხარჯით, რაც გაუსყიდველად დარჩენიათ.

მომავალ წლისათვის ჩვენ განვიძრახეთ გამოვსცეთ სურათებიანი და ვრცელი სასულიერო საერო კალენდარი, რომელშიაც გარდა სასულიერო საჭირო ცნობათა დიდი ადგილი დეთმობა საეკლესიო ნაწილს დაოჯახისათვის საჭირო ცნობებს.

***

ჩვენი რედაქცია უკვე შეუდგა საღმრთო სჯულის სასწავლო მოკლე სახელმძღვანელოს გამოცემას. ამ სახელმძღვანელოში მოთავსებული იქმნება აგრეთვე საჭირო ლოცვები. ეს წიგნი მოწონებულია უწმიდესი სინოდისაგან და მიღებულია სახელმძღვანელოდ წერა-კითხვის სასწავლო სკოლებში.

ეს სახელმძღვანელო ძლიერ სასარგებლო იქმნება აგრეთვე მდაბიო ხალხისათვისაც, რომელმაც კითხვა იცის. ამისათვის ჩვენს რედაქციას განზრახვა აქვს დაბეჭდოს რამოდენიმე ათასი ცალი ამ წიგნისა და მუქთად დაურიგოს ხალხს.

***

ამა თვის 11 ხარგაუდლის რკინის გზის სადგურთან დაეკვეხა საქონლის მატარებელი საქონლის მატარებელს და ხაშინლად დაიმსხვრენ ორივენი ნავთის კაკონებით. ქვეშოდამ მიმავალ მატარებელზე, რომელიც უფრო გვიან უნდა მისულიყო რკინის გზის სადგურზე, ეგელა მოსამხსურეთ დასძინებოდათ. მატარებელი გაჭანებული მიმავალა და ამიტომ ადრე მისულა სადგურზე და სწორედ სტრელკასთან მიუსწრია ზემოდამ მომავალი მატარებელისთვის და ხაშინლად დასკვეხებიან ერთმანეთს. ამაკვ დროს გამსკდარა ნობელის ნავთის მილი. ცეცხლი მოსდებია ნავთს. ხმა მოსამსახურე დამწკარა, სხვანი დაშავებულან. ზარალი, როგორც ამბობენ, 200000 მანეთი იქმნებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობაზედ.

მოკლეს ჯვარის-თაყვანისცემის კვირიაკესა ზედა.

ჯვარსა შენსა თაყვანსა ვსცემთ, მეუფეო

ძმანო, თქვენს წინაშე ანალოგიაზე ასვენია პატიოსანი ჯვარი. რატომ გამოასვენებენ ხოლმე ამ დიდ მარხვის კვირაში წმ. ჯვარს? იმიტომ, რომ ჩვენ დიდ-მარხვაში, რომელიც არის დრო ლოცვისა და შრომისა, მოვიგონოთ, თუ როგორ ვენო ჯვარზე იესო ქრისტე ჩვენი ცოდვებისათვის: მაცხოვარი იყო წმიდა—არასფერი დამნაშავეობა არ მიუქმნიდა, მაგრამ იგი ეწამა როგორც ავაზაკი; მისმა დაახლოებულმა მიწაფემ იუდამ გასცა იგი; მღვდელ-მთავრებმა და მწიგნობრებმა გაასამართლეს იგი და გაასამართლეს უმართლოდ; მხედრები სცემდენ მასს, ნერწყვავდენ მას პირზე და დასცინოდენ; თვითონ პილატე ხედავდა, რომ მაცხოვარი დამნაშავე არ იყო, უნდოდა გაენთავისუფლებია იგი, მაგრამ მაინც გარდაუწყვიტა მას სიკვდილით დასჯა თანახმად იუდეველების მეუმფროსეთა სურვილისა; ხალხის გროვაში, რომელსაც ეწოდა ქრისტე, მოისმოდა ხმა: ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ იგი! განა დიდი დრო გავიდა მას აქეთ, რაც იესო ქრისტე, როგორც მეგობარი, როგორც მასწავლებელი ხალხისა, ჰკურნებდა სნეულთა, აღადგენდა მიცვალებულთა, განა დიდი დრო გავიდა მას აქეთ, რაც ეს ხალხი მიეგება მაცხოვარს ბზის ტოტებით, უგებდა გზაზე თავის ტანთ-საცმელს, უწოდებდა მას დიდს წინასწარმეტყველს და სურდა მეფეთ გამოეცხადებია იგა? ეხლა კი ჰყვირიან: ჯვარს აცვი იგი! რისთვის? რა ჩაიდინა მაცხოვარმა ცუდი? იგი გარდა კეთილისა არაფის ცუდს არ უშვებოდა. რა უსამართლოებაა ხალხში!

აი მაცხოვარი ჯვარზეა გამსჭვალული... რა სამძიმოა წამება უდანაშაულო პირთათვის! ავაზაკებიც კი, რომელნიც ქრისტესთან ერთად აცვეს ჯვარზე, ლანძღავდენ მაცხოვარს, ხოლო უფროსები ამბობდენ: სხვანი აცხოვნნა; იცხოვნენ თავსიცა თავი (ლუკ. 23, 35). მაგრამ მაცხოვარმა ყოველივე დაითმინა. იგი არაფის საყვედურს არ ეუბნებოდა, არამედ პირიქით თავის მტრებისათვის ევედრებოდა ღმერთს შემდეგი სიტყვებით: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იცინ, რასა იქმიან. (ლუკ. 23, 34). სამძიმო იყო მაცხოვრისათვის ჯვარზე ენება და თავის წამების დროს ლაღად ჰყო ზეციური მამისადმი: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტევე მე! (მ. 27, 46).

ამ გვარად იესო ქრისტემ დაითმინა წვალება ბოლომდე. რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ღვთის-მშობელი, როდესაც იგი ხედავდა თავის ძის საშინელს წამებას. ცა და დედა-მიწა შეინძრა, მზე დაბნელდა, მიწა ინძრა, ქვები გაირღვენ, მთელს დედა-მიწაზე დაბნელდა, ხოლო მეუმფროსენი და ხალხი გაქაოდენ, არა გრძნობდენ, რომ უმართლოდ დასაჯეს მაცხოვარი, ჯვარს აცვეს მართალი.

აი რას მოგვაგონებს ჩვენ ჯვარი ქრისტესი. ერთის მხრით იგი მოგვაგონებს გამცემლობას, მსაჯულთა უსამართლოებას, მხედართა გულქვაობას, ხალხის უმადურობას და პილატეს პირფერობას; მეორეს მხრით—მაცხოვრის დიდს მოთმინებას, მისს სიყვარულს, მტერთა მიტევებას და მის სამაგალითო მოთმინებას საშინელის წამების დროს.

ძმაწო! მოვიგონოთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარცმითი ენებანი, გადავთვარიელოთ ჩვენი

ცხოვრება, და ვისწავოთ ქრისტესგან მოთმინება და ყოველივე მწუხარება ალუშფოთებლად დავითმინოთ.

ხშირად თვით უმახლობელესი ჩვენი მეგობარნი გვიხდებიან მტრებად: დღეს იგინი გვფფერებიან, გემსახურებიან, ტკბილად გემუსაიფებიან, მაგრამ იგინი ხშირად ნამდვილი გამცემელნი არიან; ხვალ გაგინებენ და ლაქსა გცხებენ, როგორც საშინელი მტერნი. ამასაც არ კმარობენ, ისინი ცილსა გწამებენ და ცდილობენ რაიმე ბოროტი, რაიმე შეურაცხება მოგაყენონ. რისთვის? ხშირად სიშურისა, ანუ ანგარებისა გამო. ხშირი მოელენა არის, რომ ის პირნი, რომელთაც ჩვენ სიკეთეს უშვებით, ვეწვევით და გვებრალება, მტრად გვიხდებიან და მზად არიან რაიმე ცუდი გვიქნან.

ბანა დღეს ჩვენში ცოტაა ისეთი ხალხი, რომელნიც უდანაშაულოდ ისჯებიან ხალხის უსამართლოებისა გამო; განა ჩვენში ცოტაა მტერობა, ლანძღვა, ცილის წამება, ძალადობა, შეურაცხება, დევნა, ბეზღობა, ჯაშუშობა და სხვანი? რაც უნდა პატიოსანი და წინდახედული კაცი იყო, ხალხის ცილის წამებას მაინც ვერ ასცდები. ხანდისხან შენზე ისეთ ხმებს გაიგონებ, რომ გიკვირს, თუ ვინ გამოიგონა ეს ცილის წამება და ან როგორ უჯერებენ ასეთს პირებს, მაგრამ განა ცოტანი არიან ისეთნი პირნი, რომელნიც ყოველივე ხმას ერწმუნებიან? თავის გამართლებაც რომ ძნელია. პინ ვერცელებს ცუდს ხმებს? მტრები, ჩვენი არა კეთილის მყოფელნი, მაგრამ ხშირად ამ გვარადვე იქცევიან ჩვენი საეკვო მეგობრებიც, რათა გვავნონ ჩვენ, ან დაგვცინონ.

აგერ ხედავ, რომ მეზობლები წაჩხუბნენ. რის თვის? ხშირად სულ უბრალო მიზეზისა გამო. ბინებას და ცილის წამებას ხომ ანგარიში არა აქვს.

ხშირად მდიდრები აწუხებენ ღარიბებს, ავიწროებენ მათ და აღრჩობენ. მინ შეიბრალებს ღარიბს, ან ვინ შეეწევა მასს? იგი ხშირად სულ უბრალოდ ხდება დამნაშავედ იმიტომ მხოლოდ, რომ ღარიბია. იგი ყველასგან დავიწყებული, დამორჩილებული და საცინლად აგდებულია. მას რცხვენია ეჩვენოს ხალხს.

ხშირად ვხედავთ უსამართლო მსაჯულებსაც. იგინი მეგობრობისა და პურმარილისათვის ჩადიან უსამართლობას, დამნაშავენი მათ წინაშე მართალი ხდებიან; იგინი ხშირად ღარიბ მთხოვნელებს სჩაგრავენ.

ამ სახით ქვეყანაზე ბევრი ბოროტება, შეურაცხება და უსამართლოებაა. ზოგიერთი კაცი მთელს სიცოცხლეში კეთილსა ჩადის, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარს იგი, პირიქით მას ხშირად სდევნიან, დასცინიან და შეურაცხყოფენ ხოლმე. რა უნდა ვქნათ, როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც ჩვენ უმართლოდ გვაწუხებენ, გვდევნიან და ცილსა გვწამებენ?

აი ამის პასუხი. შეხედეთ პატიოსანს ჯვარს, მოიგონეთ, რა ჰქნა მაცხოვარმა, როცა იმას უმართლოდ სჯიდენ და უდანაშაულოდ შეურაცჰყოფდენ, სცემდენ და აწვალებდენ? მაცხოვარი ითმენდა და ჩუმათ იყო. იმან ყოველივე დაითმინა, დაითმინა ყოველივე შეურაცხება და დაცინვა, ყველა ლანძღვა და სასირცხო სიკვდილი; იგი კიდეც ლოცვილობდა მტერთათვის. მაშასადამე ის ბოროტისათვის ბოროტს არავის მიაგებდა, არამედ კეთილსა. მაცხოვარმა მოგვცა ჩვენ მაგალითი, რომ ჩვენ ასე მოვეპყრათ ჩვენს ეურაცხმყოფელთ. როცა ჩვენც შეურაცხებას გვაყენებენ, გაეჩუმდეთ, მოეთმინოთ და შეევედროთ ღმერთს, რომ მან მოგვანიჭოს მორჩილება და მოთმინება, ხოლო ჩვენ მტერთა გული მოალბოს, შთაგონოს მათ და დააყენოს ჭეშმარიტ გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარება ყოველად წმიდისა ღვთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

ოფ-და-ხუთს მარტს.

ამ დიდებულს დღეს ჩვენ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი ვდღესასწაულობთ ყველასათვის სასიხარულო შემთხვევას. ღვთის ანგელოზმა ახარა ყოველად წმიდა ქალწულს მარიამს, რომ მალე მოვალს ქვეყნად მაცხოვარი, რომელსაც დიდის ხნიდგან ელოდენ. მს დიდი სასწაული, რომელზედაც უჩვენებდენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, დაბოლოს უნდა შესრულებულიყო უბრალო ქალაქ ბალილეაში, ღარიბს და წყნარს ოჯახში. მოვიგონოთ, ძმანო, თუ რას მოგვითხრობს ამ სასწაულის შესახებ წმ. მახარობელი ლუკა, რომელიც სხვა მახარობლებზე უფრო ერცლად აგვიწერს იმ შემთხვევათა, რომელნიც წინ უძღოდენ ქრისტე მაცხოვრის დაბადებას.

ბავიდა თუ არა ექვსი თვე შემდეგ მისსა, რაც მთავარანგელოსმა ბაბრიელმა ახარა მღვდელს ზაქარიას წმ. იოანნე ნათლის-მცემლის დაბადება, იგივე მოამბე ღვთისა გაგზავნილ იქმნა ქალაქ ნაზარეთში მარიამთან. მს ყოველად წმიდა ქალწული დაწინდული იყო კეთილ-მსახურს მოხუცზე, რომელსაც სახელად ერქვა იოსები და რომელიც, როგორც თვით ქალწულიც, მეფე დავითის ნათესავთაგანი იყო.

ანგელოსი შეეიდა ყოველად წმიდა ქალწულთან და უთხრა მასს: გიხარიოდენ, მომადლებულო, უფალი შენთანაა, კურთხეულო ხარ შენ დედათა შორის! ქალწული შეკრთა, მაგრამ ანგელოსმა რქვა მას: ნუ გეშინინ, მარიამ! რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმერთისა. და აჰა ესერა, შენ მეუდოდ იქმ და შვა ძე და უწოდე სახელი მისი იესო. ესე იყოს დიდ და ძე მაღლისა ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან სიყდარი დავითისა, მამისა თჳისისა. და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ და სუფევისა მისისა არა იყოს დასასრული. ყოველად წმიდა ქალწულმა მიუგო ანგელოსს: კითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამეკოტი არა ვიცი? ანგელოსმა მიუგო მასს: სული წმიდა მოგიდეს შენზედ და ძალი მაღლისა გფარეიდეს შენ; ამისთჳს შობილსა მას წმინდა ეწოდოს და ძე მაღლისა. ამასთანვე ანგელოსმა აუწყა ყოველად წმიდა ქალწულს ის სასიხარულო ამბავი, რომელიც აღთქმული ჰქონდა მისს ნათესავს ელისაბედს, რომელსაც მოკლე დროში უნდა ეშობა ძე. აჰა მზეკვალი უფლისა, სთქვა მარიამმა, მეუყნ მე სიტყვისაებრ შენისა. ანგელოსი წავიდა; ხოლო წმ. ქალწული გაემგზავრა თავის ნათესავ ელისაბედთან, რომელიც აღივსო სულის წმიდით, შეეგება მარიამს და უწოდა მას დედა ღვთისა.

ყოველად წმიდა ქალწული, როგორც ვიცით, იყო ქალი კეთილ-მსახურ მოხუცებულ იაკიმე და ანნასი, რომელთაც ასულის დაბადებამდე შესწირეს იგი ღმერთსა. როცა მარიამი შესრულდა სამი წლისა, მშობლებმა მიიყვანეს იგი ტაძარში. ამის შემდეგ მშობლები მალე გადაიცვალენ; ყოველად წმიდა ქალწული მარიამი განუშორებლად იმყოფებოდა ტაძარში მღვდელ-მოსამსახურეების მხედველობის ქვეშ. ტაძარში მარიამი ეუფლებოდა ღმერთს და სწავლობდა სამართო წერილს. ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ როცა ქალწული შეიქმნა 14 წლისა, მღვდელ-მთავრებმა, ურიებს ჩვეულების თანახმად, მოუწოდეს მარიამს გათხოვება, რადგან ამ დროიდგან მისი ტაძარში დარჩენა შეუძლებელი იყო. მღვდელ-მთავრებმა ურჩიეს მარიამს, რომ მას საქმრო ეირჩია. მაგრამ ყოველად წმიდა ქალწულმა უპასუხა მათ: მე შეეწირეს მშობლებმა ღმერთს, მეც ჩემის მხრით ესწირავ ჩემს თავს ღმერთს და მსურს სამუდამოდ ქალწულად დავრჩე. ურიებში არ იყო ჩვეულება, რომ ვისმეს თავის ნებით აერჩია უქორწინოობა ღვთის მსახურებისათვის; და რომ ეს საზოგადოდ მიღებული ჩვეულება არ დარღვეულიყო, მღვდლებმა დასწინდეს მარიამი კეთილ-მსახურ მოხუცებულზე, სახელად იოსებზე, რომელიც იყო შორებელი ნათესავი მარიამისა. იოსებს უნდა დაეფარა ყოველად წმიდა ქალწული. მარიამი გადასახლა მართალი იოსების სახლში, სადაც ატარებდა ცხოვრებას მყუდროებაში; იგი ხელსაქმობდა და შრომობდა იოსების ქალებთან ერთად. უბრალოდ მოლაპარაკეს მარიამს ვერ ნახავდა კაცი; იგი იყო თავდაბალი, წყნარი და სასიხარულოდ მიაჩნდა საამართო წერილის კითხვა. ამიტომაც ხარების ხატზე ყოველთვის ქალწულის წინაშე გადაშლილია წიგნი. მასს შესწავლილი ჰქონდა წინასწარმეტყველები და ამიტომ იცოდა, რომ მოახლოებული იყო მაცხოვრის გამოცხადების დრო; ისაიას საწინასწარმეტყველოებში მარიამმა წაიკითხა, რომ მაცხოვარი უნდა დაბადებულიყო ქალწულისაგან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითა სურდა ხილვა ამ ყოველად კურთხეული ქალწულისა; მარიამი მზად იყო მოსამსახურედ დადგომოდა მას, რომლისაგანაც უნდა დაბადებულიყო მაცხოვარი ქვეყნისა. და აი ის თვითონ გახდა ღირსი ღვთის ძის დედად ყოფნისა. ეოვლად წმიდა მარიამმა მორჩილებით და აღუწერელი სიხარულით მიიღო ანგელოსის სიტყვები. ადიდებს სული ჩემი უფალსა! წამოიძახა ქალწულმა ელისაბედის მოკითხვის პასუხად, და განახარა სულმან ჩემმან ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა; რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მჴეკლისა თჳისისა, რამეთუ აჰა ესერა ამიერიდგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი, რამეთუ ჰყო ჩემთან დიდებული ძლიერმან და წმიდა არს სახელი მისი და წყალობა მისი ნათესავითი ნათესავამდე მოშიშთა მასთა ზედა.

წმიდა მოწამე რაქდენი.

(დასასრული *).

შეიპყრეს თუ არა რაქდენი, იგი შეკრული წარუყვანეს მეფე ფირუზს. ფირუზმა გამოჰკითხა მოწამეს მიზეზი, თუ რად დაუტეევა მან თავის უწინდელი სამშობლო და თავის სარწმუნოება. რაქდენმა მიუგო მეფეს: «მე დაუტოვე ჩემი სამშობლო და ღმერთები, რომელთაც მე უწინ თაყვანსა ვსცემდი და რომელნიც გაკეთებულნი არიან ქვეყნის დასამშვენებლად; დღეს მე ვემსახურები და თაყვანსა ვსცემ ერთარს ჭეშმარიტს და ცხოველს ღმერთსა, რომელმაც შეჰქმნა ცა და დედამიწა და ყოველივე ცხოველი. ამ ღმერთს არა აქვს არც დასაბამი და არც დასასრული; იგი არავის უხილავს და არც არავის შეუძლია იხილოს. ეს არის ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც აღვიარე მე. იგი არის სამპიროვანი. მაგრამ ამ სამების ერთი პირი ძე ღვთისა განხორციელდა ყოველად წმ. ქალწული მარიამისაგან კაცთა საცხოვნებლად, მოვიდა ქვეყნად, იცხოვრა ქვეყანაზედ, ევნო, ეცვა ჯვარზე, მოჰკვდა, მესამე დღეს აღსდგა, მეოთხეცა დღეს, შემდეგ აღდგომისა, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა. ჟეეფნის დასრულების შემდეგ ეს ძე ღვთისა, იესო ქრისტე, კვლავ მოვა ქვეყანაზე დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა და მაშინ მართალნი განბრწყინდებიან, როგორც მზე, ხოლო ბოროტნი და გაუგონარნი მიიღებენ საუკუნო წვალებას ეშმაკთათანა». რაქდენის სიტყვებმა მეტად გააბრაზა მეფე ფირუზი. მან თავის გულში უკვე გარდასწყვიტა სასტიკად ეწვალებია რაქდენი და ბოლოს სიკვდილით დაესაჯა ის. მაგრამ თავის განზრახვის აღსრულებას ვერ ბედავდა მეფე, რადგან რაქდენი დიდი შთამომავლობის იყო და მეფეს დიდი იმედი ჰქონდა რაქდენისა, თუ იგი ხელახლად მიიღებდა ზარათუსტრის სარწმუნოებას. ამიტომ მეფე ფირუზი ეფერებოდა რაქდენს, პირდებოდა მას დიდ სიმდიდრეს და პატივის ცემას: მაგრამ რაქდენი ემსახურებოდა მხოლოდ ჭეშმარიტს ღმერთს და მხოლოდ იესო ქრისტეზე ფიქრობდა. ამიტომაც ყველა დაპირებაზე რაქდენმა თავამდე მიუგო მეფე ფირუზს: „უნდა იცოდე, მეფეო, რომ მე არ უარეყოფ უფალსა ჩემსა იესო ქრისტეს, რომელმაც გამაჩინა მე, და არა ესცემ თაყვანს შენს ღმერთებს. შენგან აღთქმული დიდება და სიმდიდრე შენა გგქონდეს, მე იგინი არ მინდა და არც მესაჭიროება. მაგ დაპირებათა გულისათვის მე არ დაუტოვებ ჩემს ღმერთს, რომელმაც მომაწოდა მე და არ გავსცელი საუკუნო ცხოვრებას, რომელიც აღთქმულია ქრისტესაგან, დროებით ცხოვრებაზე. ამიტომ რაც უნდა აღმოთქვა და დამპირდე, მე არ უარეყოფ ქრისტეს და არც არაფერს გაგიგონებ ამის შემდეგ». ამ სიტყვებმა მეტად გააბრაზა მეფე ფირუზი და გარდასწყვიტა რაქდენის სიკვდილით დასჯა. ეს შენიშნა გაბედულმა რაქდენმა და გასაოცარი სითამამით უთხრა მეფეს: «შენ ამბობ, მეფეე, რომ მიმცემ მე დიდს წვალებას და ფიქრობ, ვითომც, ეს წვალება უარესი იყოს საუკუნო წვალებაზე; იცოდე, რომ ჩემთვის ქრისტე და სიკვდილი შეძენაა». მეფემ ველარ მოითმინა და ბრძანა რაქდენის წვალება. რაქდენი გადასცეს მწვალებლებს, რომელთაც დაუწყეს წმიდანს ცემა ცხვირ-პირში. ამ ცემისაგან, როგორც მოწმობს ქათალიკოსი ანტონი I-ელი, წმიდა რაქდენს დამსხვრა პირის სახის ყველა ძვლები და დაცვინდა კბილები, შემდეგ გააშიშვლეს რაქდენი და დაუწყეს მიწაზე თრევა და სასტიკად სცემდენ ჯოხს ტანზე. ამის შემდეგ რაქდენს მის-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს ფეხებში ბოროკილი, კისერზე მოაბეს ჯაჭვი და ამ სახით ჩაგდეს საპყრობილეში, სადაც უსაჭმელოდ და უსასმელოდ ჭკლავდენ.

ფირუზი დაიმედებული იყო, რომ ამისთანა წამებით ხელახლად მოაქცევდა რაჟდენს ზაროასტრის სარწმუნოებაზე და ამისათვის უფრო საიმედო საშუალებას ეძებდა. ოდესმ გვარის და წარჩინებულმა პირებმა ურჩიეს მეფეს რაჟდენის საპყრობილედგან განთავისუფლება, რომ მას ენახა თავის ნათესავები და სახლობა. ისინი ფიქრობდენ, რომ რაჟდენს შეებრალებოდა ნათესავები და სახლობა და მიატოვებდა ქრისტეს სარწმუნოებას. ამავე დროს პერსიელი დიდ კაცობა დაიარებოდა საპყრობილეში რაჟდენის სანახავად და ურჩევდა მას ქრისტეს უარყოფას, რომ ამით დაეხსნა როგორც თავის თავი, ისე თავის სახლობა საშიშარი უბედურებისაგან; ეს პირნი მეფის სახელით პირდებოდენ რაჟდენს დიდს საჩუქრებს და პატივისცემას. მაგრამ ყველა ამ დაპირებას უარსა ჰყოფდა რაჟდენი. ფირუზს მოეწონა დიდ კაცთა რჩევა და ბრძანა გაენთავისუფლებიათ რაჟდენი საპყრობილედგან, რომ მას ენახა თავის ნათესავები და ოჯახი და შემდეგ ხელახლად მოსულიყო მეფესთან. ამ დროს რაჟდენის სახლობა მცხეთაში სცხოვრებდა. ოჯახის ნახვას, მართლაც, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა რაჟდენზე, მაგრამ ცოლშვილის ტირილმა და ვაებამ სრულებით ვერ იმოქმედა მასზე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ქრისტეს სიყვარულის გულისათვის რაჟდენმა უარჰყო ყოველივე ქვეყნიური დიდება.

ჭათალიკოსი ბესარიონი მოწმობს, რომ ატირებულს ცოლშვილს რაჟდენმა პასუხად შემდეგი მიუგო: «ვერავინ ვერ მათქმევინებს მე უარს შფლისა ჩემისა იესო ქრისტეს სიყვარულზედ». ამ გვარად ფირუზის ცდამ ფუჭად ჩაიარა: ცოლშვილის ტირილმა და მუდარებამ რაჟდენში, ნაცვლად სიბრალულისა, აღძრა სურვილი, რომ იგი მალე გამოსალმებოდა ამ წუთი სოფელს და შეერთებულიყო ქრისტესთან. ამიტომ რაჟდენი უფრო დიდის სითავამით დაბრუნდა ფირუზსთან. რაჟდენი შეჭვრეს პერსიელებმა და შეკრული წარუდგინეს მეფეს. მეფემ ერთხელ კიდევ გაუმეორა რაჟდენს თავისი დაპირება, მაგრამ ტყუილად. რაჟდენმა არავითარი პასუხი არ მისცა მეფეს. ბოლოს მეფემ რაჟდენი შეკრული გაუგზავნა ზემო ქართლის მმართველს დაბა წრომბში და მასთან უბრძანა, რომ მას რაიმე გზით შთაეგონებია რაჟდენისათვის უწინდელი სარწმუნოების მიღება და, თუ რაჟდენი თავისას არ დაიშლიდა, მაშინ იგი, შემდეგ სასტიკი წამებისა, ეცვათ ჯვარზედ.

მმართველმა აღუთქვა რაჟდენს დიდი სიმდიდრე, თუ იგი უარჰყოფდა ქრისტეს. «ვერასფერი ვერ შეარყევს ჩემს სიყვარულს ქრისტესადმი, მიუგო რაჟდენმა მმართველს, მე ვერ მოვწორდები ქრისტეს, კიდევ რომ მისი გულისათვის ერთ ღღეს დავითმინო ათასი წვალება». ამ სიტყვების შემდეგ წმიდა რაჟდენს დაუწყეს იმ გვარიერ წვალება, როგორც აწვალა ის მეფე ფირუზმა: პირველად ბწვალებლებმა დაუშინეს რაჟდენს პირის სახეზე, შემდეგ მისცეს იგი სასტიკ განსაცდელს და ბოლოს დასახჩირებული და ნაწვალები შეჰკრეს და ჩაგდეს საპყრობილეში. აქ მოხდა სასწაული: რაჟდენს გამოეცხადა მაცხოვარი და მოუჩინა მასს ყველა იარები, რომელიც მიეღო წმიდანმა ქრისტეს გულისათვის. ამ სასწაულმა თავზარი დასცა მწვალებლებს, მაგრამ იგინი მაინც კიდევ ცდილობდენ, რომ როგორმე შეეცდინათ რაჟდენი. ხელახლად აღუთქვეს მასს, თითქმის, ნახევარი სამეფო და თვალწინ დაუხატეს მასს ყოველივე ის სიამოვნება, რომელიც მოელოდა რაჟდენს შემდეგში. მაგრამ იგი არავითარს პასუხს არ აძლევდა მწვალებლებს და მზად იყო მიეღო წამება ქრისტეს გულისათვის.

ფერაფერმა ვერ იმოქმედა რაჟდენზე. ამიტომ პერსიელებმა საბოლოოდ გარდასწყვიტეს რაჟდენის ჯვარზე ცმა, თანახმად მეფე ფირუზის ბრძანებისა. მმართველმა ბრძანა მოემზადებიათ ჯვარი. როცა რაჟდენი მოიყვანეს ჯვართან, მას, ჯვარის დანახვაზე, სრულიად დაავიწყდა ის უბედურება, რომელიც მას მოელოდა და მეტის მეტი სიხარულისაგან წამოიძახა: „ბიხაროდეს ცხოველ-მყოფელო ძელო, რომლითაც დაითურგნა ეშმაკი და რომელზედაც ეცვა ქრისტე, მე შენი მეოხებით აღვალ ქრისტესადმი, რომელიც შემეწყალა მე და მომცემს ძალს, რათა დავითმინო წვალება, რომელიც მომელის მე. მე აღვიარე ქრისტეს მტერთა წინაშე მისი სწავლა, და მსგავსად მაცხოვრისა ვეცმი შენზე». რაჟდენის ჯვართან ერთად მოამზადეს კიდევ ოთხი ჯვარი ოთხ ავაზაკთათვის. რაჟდენს გაავძრეს ტანთ-საცმელი და აცვეს ჯვარზე ოთხ ავაზაკთა შორის. ფანატიკმა პერსიელებმა მარტო ჯვარცმა არ აკმარეს რაჟდენს, მათ მოინდომეს, რომ რაჟდენის მთელი

ტანი დაეგმირათ შხამიანი ისრებით; ამიტომ მმართველს გამოსთხოვეს კარგი მსროლელები, რომელთაც დაგმირეს რაჟდენის სხეული ისრებით. წმიდა რაჟდენმა მალე განუტევა სული. «ქართლის ცხოვრების» სიტყვით წმიდა რაჟდენი ეწამა 457 წელში.

ქართველები მეტად შეაწუხა წმიდა რაჟდენის სიკვდილმა; მათ გაიგეს, რომ პერსიელებს ნაბრძანები ჰქონდათ ჩამოეღოთ რაჟდენის სხეული ჯვარიდგან და გადაეგდოთ მხეცთა და ფრინველთა შესაჭმელად, ამიტომ მათ მოინდომეს რაიმე გზით ჩაეგდოთ ხელში წმიდანის სხეული და დამარხათ მიწაში. მაგრამ ამის აღსრულება ძალიან ძნელი იყო: პერსიელებმა იმ ჯვარს, რომელზედაც აკვეს წმიდა რაჟდენი, შემოახვიეს მცველები. მაგრამ ქრისტიანებს ამ საქმეში ხელი მოუწყო თვითონ განგებამ. პირველ ღამესვე რაჟდენის ჯვარცმის შემდეგ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც შეაშინა მცველები და ისინი გაიქცა-გამოიქცნენ იქით-აქეთ. ამ შემთხვევით ისარგებლეს ქრისტიანებმა, ჩამოიღეს რაჟდენის სხეული ჯვრიდგან და დამარხეს მიწაში იმ ადგილის მახლობლად, სადაც იგი ჯვარს აკვეს. წმ. რაჟდენის სასაფლაო ადგილი დიდხანს არავინ იცოდა, თუმცა საქართველოს მეფე მახტანგ-მორგასლანი ყოველივე ღონეს ხმარობდა მოეპოვა წმიდანის გვამი. ბოლოს, როგორც იქმნა, შეიტყეს წმიდანის სასაფლაო. წმიდანმა თავის დამარხვის დროს უთხრა ერთს მღვდელს, რომ მას ეჩვენებინა მეფისთვის მისი სასაფლაო. მღვდელმა ეს ამბავი დაუყონებლივ უანბა მეფეს, რომელმაც ამოასვენა რაჟდენის წმ. გვამი მიწიდგან და გადაასვენა ქალაქ ნიქოზში.

წმიდა რაჟდენის გვამის გადმოსვენება მოხდა დიდის ამბით. ბევრს მოუძღოდენ წინ ქათალიკოსი, მრავალი ეპისკოპოსები, დიდკაცობა და მრავალი ხალხი. წმ. რაჟდენის გვამი დიდის პატივისცემით დასვენეს ნიქოზის ტაძარში, სადაც დღესაც განისვენებს ეს გვამი.

წმ. მოწამის რაჟდენის გარდაცვალების დღეს იხსენიებს წმიდა ეკლესია სამს მარტამბრისთვეს. როგორც მოგვითხრობს ისტორია, ეს დღესასწაული დადგენილ იქმნა მეფე მახტანგ-მორგასლანის დროს ქათალიკოსის სამეფილ პირველისაგან.

დარიგება აღმსარებელთათვის.

აღსარება არის ერთი უმშვენიერესი დადგენილობა მართლ-მადიდებელი ეკლესიისა. ამიტომ სულიერ მოძღვარს ყველაზე დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ამ დადგენილობის რიგიანად აღსრულებაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მშვენიერი დადგენილობის დიდი მნიშვნელობა ჯეროვანად არა აქვსთ შეგნებული სამწყსოთა. სულიერნი მწყემსნიც ვერ გამოკითხვენ ხოლმე აღმსარებელთა მათ სულიერ ავადმყოფობას, რაისა გამო ზოგიერთნი აღმსარებელნი განუკურნებელნი მრუნდებიან უკანვე. აღმსარებელმა ხშირად არც კი იცის, თუ რა უნდა აღიაროს მოძღვრის წინაშე. ზოგს ცოდვად მიაჩნია მარტო კაცის კვლა და ქურდობა, და თუ ესეები არ ჩაუდენია, იგი თავის თავს უშანკოდ სთვლის. ზოგიერთი სულიერი მოძღვარიც ვერ ტყობილობს აღმსარებელთა ყველა სულიერ სნეულებათა, რადგან ხშირად არ იცის, თუ რას მიაქციოს ყურადღება აღსარების დროს. ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ დავბეჭდოთ დარიგება აღმსარებელთათვის, შედგენილი პატრიარქ ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ. ეს ეს დარიგება:

აღმსარებელმა პირველად უნდა სთქვას:

«აღგიარებ შენ, უფალო, ცათა და ქვეყანისაო, ყოველთა დაფარულთა გულისა ჩემისათა. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. ამინ.

მემრე მოძღვარმა უნდა კითხოს:

აღიარე სულიერო შეილო მიბრძანებისა მცნებისა, რომ ბრძანებს: მ ე ვ ა რ უ ფ ა ლ ი ღ მ ერ თ ი შ ე ნ: თუ ამისი წინააღმდეგი რაიმე გიქმნიეს, აღიარე და ნუ დაჰფარავ: თუ შენს სარწმუნოებას გარდა, სხვა სარწმუნოება გწადია, და მოგწონებია. თუ სარწმუნოებას გარდა, იმათი წესი და რიგი რაიმე მოგწონებია: ან შვიდის საიდუმლოსი: ან მარხვისა და ხსნილისა: და ან სხვა რამ იმათი განწესება მოგწონებია:

აღიარე, თუ მისნობისა რამ იცი: ან მკითხაობისა გწამს: ან ლობიო, ან ქერი: ან ბეჭი, ან სიზმარი ან დაცდა: ან შელოცვა: ან პირუტყვის შეკრა: და ან სხვა ჯადეგი: ესენი შენ გიქნია, თუ სხვისათვის გიქნეენებია: თუ გისწავლია: თუ გისწავლებია, თუ ყური მიგიგდია: ან ბედი გწამებია, და ან საწამლავი და შელოცვა გისწავლია, ან სხვა რამ წამალი დაგიცდია: ესე ამ პირველის მცნების დამარღვეველი და წინააღმდეგ.

აღიარე, თუ სასო-წარკვეთილებაში შესულხარ, ერთის რომლისამე კეთილის მოცემის იმედი თუ აღარა გქონია: ესეცა სულის-წმიდისა მიმართ წინააღმდეგთა კოდვათაკანი არის.

თუ შენი უპირატესი და უფროსი გაგიჯავრებია, ან პირი შეგიბრუნებია: და ან პირს თუ უკან იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა რამ გიკადრებია, და ავი ძმური რამ გილაპარაკნია, და ავად გიხსენებია: ეს ამ ამპარტავანებაშია შემოვა: და მეხუთის მცნების წინააღმდეგიც არის რომ პატივისცემას ბრძანებს.

თუ შენი თავი მოგწონს, და დაგიკვეხებია რაზედმე: ან სიმდიდრეზედა რომ ფიქრია რამე: ან ცაცის შვილობაზე, ან შეენივრებაზე, ან გარჯასა და ეაჟკაცობაზედ, ან სათნოებაზედ, და ან საქმეს მოქმედებასა რაზედმე მოგწონებია, და სხვისა კი აღარ მოგწონებია, ეს ამპარტავანებითაც შემოვა.

თუ სხვისაგან სწაელება გწყენია, და ან სხვას კარგი და კეთილი რამ უმოქმედია, და შენ იმისი წინააღმდეგობა რამ ან სიტყვით, და ან საქმით გიმოქმედნია, ესეც ზემო წერილისაებრი არის.

აღიარე თუ მაჩვენებლობით, და ფარისეელობით მოქცეულხარ, და რაც რამ კეთილი საქმე სხვისა დასანახავად გიქნია და არა გულით.

თუ შენის თავი მინდობილი ხარ, და ღვთის მინდობილი კი არა ხარ.

თუ საღმრთო რამ პატივით არ მიგიჩნეია: და ურიგო რამ გითქვამს, ან ეკკლესიისათვის: ან ხატისა და ჯვარისათვის, და ან სამღვდელოსათვის: ესე ორივე პუნკტიცა ამ პირველისა მცნებისაც არის წინა აღმდეგი და ამპარტავნებაც არის რომ სასიკეთინე ცოდვა არის ჩვენის სულისა.

ადიარე მეოთხისა მცნებისა. თუ ერთი აზემებული, და საყვარელი რამ გიჩიქვნია და სულ ის გაგონდება, და ყოველს შენს საქმეში ის თვალს წინ გიდგს, თუ მეუღლე, თუ შვილი, თუ სხვა ვინმე: თუ საქონელი ნივთი რამე, და შენის თავისა რაიმე სასიამოვნო და საამბელი გეგულება, და ან სოფლის საზრუნავი რაიმე გაქვს: და ესეები რაც გითხარ ამაში რომელიმე სულ თვალ წინ გიდგს, და გულში გახსოვს და გაგონდება: ეს არის წმიდის მოცქულისაგან კერპთ მსახურებად სახელდებული.

აღიარე, თუ შენის თავის განსვენება და ფუფუნება გიყვარს, თუ ჩაკითა და დაბურვითა: თუ სმითა და საზრდელითა, თუ ძალით და განცხრომით:

აღიარე, თუ ღმერთს გარდა სხვაც რამ გწამს, და ხატსა და ჯვარსა, და საღმრთოს გარდა იმისიც გგონია, რომ ძალი რამ მადლი ჰქონდეს, ან მზესა, ან მთვარესა, ან სხვა რასმე და იმაზე სასოება დაგიძს:

ადიარე მესამისა მცნებისა. თუ ღვთის სახელი დაგიფიცნია ან მართალზე ან ტყუილზე, ან ხშირად ფიცის ჩვეულება გაქვს:

თუ ეკკლესიაში დაგიფიცნია, ან სხვა დაგიფიცებია:

თუ ღმერთი თავსდებად მიგიცია ვისთვისმე:

თუ გიფიცავს და აღთქმას გარდამხდარხარ:

თუ შენი თავი ფიცით შეგიკრავს, და შეგიჩვენია ასე დამემართოსო:

ან ცუდსა და უბრალოსა საქმეზე ღვთის სახელი გიხსენებია:

ან ღვთის ქვეშ შეგიგდია ვინმე:

ადიარე მეოთხისა მცნებისა. თუ უქმე და კვირა გიმუშავნია ან სხვა გიმუშავებია: თუ ამისთანა დღეებში წირვას და ლოცვას დაჰკლებიხარ.

თუ წელიწადში ერთხელ მაინც აღსარება არ გითქვამს, და ან არ ზიარებულხარ:

თუ საქმის გაკეთება დაგზარებია, ან ლოცვა და ან მარხვა მოგწყენია: ან კეთილი სწაელა არ გაგიგონია, და მოსმენა დაგზარებია:

თუ კეთილი რამ გცოდნია, სხვის სწაელად არ გამოგიმეტნია:

აღიარე თუ ლოცვასა და წირვაზე გილაპარაკნია, და სხვაც გილაპარაკებია.

ან ლოცვაზე გიცინია: ან გონება სხვაგან განგმნეია:

თუ შენი უმცროსნი, და შენნი შვილნი სწაელაში არ დაგიწვრთნია:

თუ იმათთვის ავი რამ გისწაელებია:

თუ აღსარებაში ცოდვა რამ დაგრჩომია, და აღარ გითქვამს:

თუ მწუხარება, და განსაცდელი რამ ვერ მოგითმენია:

თუ გულ-მავიწყარი გონება გაქვს, მალე იცი დავიწყება.

თუ კეთილი რამ გიქნია, და ისევ დაგინანია:

ადიარე მეხუთისა მცნებისა. თუ შენის მშობლებისათვის პატივი არ დაგიდვია, და პატივისცემის მაგივრ კიდეც გაგიჯავრებია:

თუ შემოსწყრომიხარ, ან გიძრახავს რაიმე: ან მასხარად აგიგდია: და გიცინია: და მართლის გულით ისინი არ გყვარებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სხვას უკნია ესენი, რაც გითხარ შენს მშობლებზე, და შენ არა დაგიდევნია რა; ესე პირველ მცნებაშიაც გკითხე, რომ ამპარტავანებაც არის და ამ მცნებისაც წინააღმდეგი არის: ახლა ეს ასრე იცოდე როგორც შენი მშობლების ერთგული უნდა იყო ეალი გაქვს: აგრეთვე რომელიც შენი მირონი არის, რომელიც შენი ეპისკოპოსი, შენი მოძღვარი არის: რომელიც შენი მეუღლე ან შვილი და ან ძმა და მეგობარი და კეთილის მყოფელი გეგულება ვინმე: ამითი პატივისცემა შენცა გმარტებს, და თუ სხვისაგან ამათზედ ძვირი ძრახვა და ავი რამ გაიგონო, თუ პასუხი არ ძალ გედვას, ეცადე რომ არ გაიგონო: თუ არა შენ თანამოწამე ნუ შეიქმნები, ესრეთ იცოდე:

ადიარე მეექვსისა მცნებისა. ამას შეუდგება გულის წყრომა, შური ბოროტი: ზრახვა და განკითხვას ენის მიტანა: ყურის-მიგდება: საიდუმლოს გაცემა:

აღიარე, თუ კაცის კელის საქმეში გარეულიხარ.

ან სხვისათვის ზიანი რამ მიგიცია, ან დაქცევია, ან ღაწვით, ან სხვით რითმე დაგიკლია, და იმას ზიანი მისცემია:

ან მეტად გაჯავრებულხარ, და მეტად გულის ჯავრით ვიცია ეისთვისმე და მწარედ გიტანჯავს:

თუ ჯოხი გისროლია ეისთვისმე, ან ქვა და კაცს მოხვედრია:

თუ წაჰკიდებიხარ ეისმეს, და შფოთი მოგსვლია:

ან თავი გაგიტეხია ეისთვისმე, ან დაგიჭრია ვინმე, ან შენის მიზეზით სტკენია ეისმე რამე, თუ უმძრახიხარ ეისმე, და არა რიგდები:

თუ გულს გაკლია ეისგანმე, და ან შენგან სხვას აკლია:

თუ საწამლავი გიქნია ეისთვისმე, ან მუცლის წახდენისა ან შეძღულებისა და შეყვარებისა, ან საწამლავი და ამისთანაები ზემოთაც ამისათვის გკითხე, რომ ამისთანაები პირველის მცნებისაც წინააღმდეგი არის; და აქ მეექვსის მცნებისა და იქმნება შურითაცა: და იქმნება სიხარბითა და ანგარებითაც შოვნისათვის იჩემოს:

თუ ცოდვა წაგიყვანია, წაგიძახნია ეისთვისმე:

თუ დაგიბეზღებია ვინმე, უფროსთან თუ სხვასთან, ერთგულებით გიქნია თუ მტერობით, თუ ჯავრით დასნეულებულხარ:

თუ გაჯავრებაში გითქვამს ნეტავ მამკლაო: ან დამკარგაო: ან ამატეხა რამეო: ან სხვისა გითქვამს, ღმერთო ის მოკალო: ან ამისი ჯავრის ამოყრა მაღირსეო, თუ მეტის გაჯავრებით გიტირნია:

თუ იშნი მოგიცია ეისთვისმე, ან სხვის დასაკლისი არ გწყენია:

თუ შენი თავი დაგიწყეველია, და შეგიჩევნებია:

ან შენ სხვას დაეწყეველიხარ და შეუჩევნებიხარ:

აღიარე, თუ ცოდვაზე დაგიძრახავს ვინმე, ის საზრახავი შენის თვალით გინახავს, თუ გაგონილი გითქვამს:

აღიარე, სამღვდელო დაგიძრახავს, თუ საერო:

თუ ენა მიგიტანია ეისთვისმე, და იმაზე შფოთი და სიძულილი მომხდარა:

თუ სხვის საიდუმლო გაგიცაა, თუ ყური მიგიგდია სხვის საიდუმლოსათვის:

თუ მასხარათ აგიგდია ვინმე, და დაგიცინნია:

თუ ემტერები ეისმე, და იმისი დასაკლისი გინდა:

თუ შენს სახლში მყოფი გძულს ვინმე:

თუ სხვისი სიკეთე რამ გულში გწყენია, და იმისი შესამატი რამ შეგშურებია, ან საქონელი, ან მამული, ან ოქრო და ან ვეცხლი, ან ტანთ-საცმელი, ან შვენიერება შეგშურებია, ესენი გითქვამს და გინატრია ნეტავ მეც მომცაო: თუ იმას არა ჰქონდესო:

ან სხვისა რამ კეთილი გეოდნია, და შურით დაგიფარავს:

თუ სხვას შენის მიზეზით რამ უსწავლია ავი: ან სულის საენებელი, ან ხორცისა:

თუ ზაკვით და ხერხით მოქცევიხარ ეისმე: პირად სხვა ყოფილხარ და გულით სხვა: თუ მართალი ვინმე გაგინტყუნებია და მტყუანი გაგიმართლებია.

ადიარე მეშვიდისა მცნებისა. თუ სიზმარში ცოდვა რამ გინახავს, და ვჩვენებია ან ქალი, ან კაცი:

თუ ძილში დაცემულხარ:

თუ ან ცხადად მოტყუებულხარ, და ლოცვაზე მცდარ-ხარ:

აღიარე თუ ქალთან, თუ კაცთან, თუ ჭალწულთან, თუ ქერიეთან, თუ ნათესავთან, თუ მოყვარესთან, თუ ნათლიასთან, თუ სამღვდელოსთან: თუ ერთ გვამთან, თუ რამდენგან რამდენ ჯზის:

თუ სიყვარულის წიგნი მოუწერია ვისმეს და ან შენ მიგიწერია:

თუ ჭიდაობა: თუ ხვევნა: თუ კოცნა:

თუ მრუშებაში ჩაკარდნილხარ:

თუ ამგვარს ლაპარაკსაც ეწყობი, ან ხვისათვის მიგიგდია ყური ამისთანაებზე: თუ მაჭანკლობაში გარეულხარ: ეხლა ეს აღიარე: ნამეტანი სმა და ჭამა გიყვარს, გისვამს და კიდევა გნდომებია: თუ ასრე მუდამ სმა და ლხინი გიყვარს: თუ პირს გილებინებია სასმელისა და საჭმლის დაჭარბებით:

თუ ღვინის სმით გაბრუებულ ხარ, და ეველარა გაგიგიარა:

თუ სმაში გაჭირვებულხარ, და შფოთი მოგსვლია ვისთანმე:

თუ შენის მიზეზით დამთვრალა ვინმე, და ავი რამ დამართვია:

აღიარე, თუ სასმელ საჭმლის ნდომით გაჯავრებულხარ, და ცოტა ხანს ვერ მოგითმენია, შფოთი და გინება დაგიწყია:

თუ მარხვა წაგირევია სახსნილოთი, ნებითა თუ უნებურად:

თუ დიდ მარხვა, და ან ხვა მარხვა არ გიმარხავს, და ორჯერი საზრდელი მიგიღია:

თუ ამისთანას მარხვაებში უჯეროდ შფოთიც მოგსვლია:

აღიარე მერგისა მცნებისა. თუ მალვით რამ აგიღია, და მოგიპარავს: ბატონისა იყო თუ ეკლესიისა; თუ სამღვდელოსი: თუ საეროსი: აღიარე რა იყო სასმელი, თუ საჭმელი, თუ ვეცხლი თუ ოქრო, და ან სხვა რამ საქონელი, ტანისა თუ სახლისა რამ სახმარი: თუ იპოვნე რამ და პატრონსარ მიეც:

თუ მოგაბარა ვინმე, და შეინარჩუნე, და აღარ აძლევ:

თუ მოგიტაცნია ვისთვისმე რამე მძლავრებით, და ან შენის მიზეზით სხვას უქნია ესე ვითარი ტაცება:

თუ აღებ-მიცემის საქმეს შეესწარ, და თან მოზიარეს ამხანაგს უდალატე, თუ სხვას ვისმეს გაცვლაში თუ ვაჭრობაში, თუ წონაში:

თუ სხვა შეგრჩომია ვისიმე რაიმე მიცვალებულისა თუ ვისიცა:

თუ ვალი ვისიმე გმართებს, და არ აძლევ, სეხი თუ მუშასი, თუ სამღვდელოსი: თუ სხვისა: თუ ქურდისა და ავი კაცის ამხანაკი იყავ და მეკობარი:

თუ სხვისა ნაპარევი და ნატაცები შენც მოგიხმარნია, მამულის თუ სხვა ნაარმეისა რომ კიდეც გცოდნოდეს:

თუ ტყვის გასყიდვის ნავაჭრი მოგიხმარია და გარეულხარ:

თუ ქრთამი აგიღია, გარიგებას დაჰპირებიხარ და ვერ აღგისრულებია:

თუ საქონლისა და მოგებისათვის გაშფოთებულხარ, და წაჰკიდებიხარ:

თუ სიხარბით ტყუილად რამე ნივთი გიჩემებია ჩემი არისო:

თუ ტყუილად სიგლახაკე მოგიგონია:

თუ გლახაკი დაგიტუქსავს შეგძლებია და არ მიგიცია:

თუ ქვრივი და ობოლი შეგიწუხებია რაზედმე.

აღიარე მეცხრისა მცნებისა. თუ ცილი დაგიწამებია ვისთვისაც: ან დაკარგვაზედ, და ან სიტყვაზედ, შენ ეს გითქვამსო: თუ ტყუილი გითქვამს, ან ხშირად იცი ტყუილის ლაპარაკი, და ჩვეულებად დაგჩენებია, თუ სხვას ტყუილად დამოწმებიხარ:

თუ ტყუილად ენა მოგიტანია ვისთვისმე:

თუ ტყუილად დაგიბეზღებია ვინმე:

თუ შენის ტყუილის თქმითა სხვას ზიანი მისცემია:

თუ შენის ტყუილის ლაპარაკით სხვანი შეგიქცევია:

თუ გიყვარს ამისთანა ამბავ და ცუდი ლაპარაკი:

თუ მოგიტყუებია ვინმე რაზედმე:

თუ ტყუილად გიქია ვინმე, ან ტყუილად გიძაგებია:

თუ ეჭვიანი გული გაქვს:

აღიარე მეათისა მცნებისა. ბრძანებს ყოვლისა

ბოროტისა გულის-თქმისაგან განყენებისა: აღიარე თუ გულის თქმა გაქვს რისაცა საქონლისა:

Oთუ მამულისა: თუ სახლ-კარისა: თუ ნაშენობისა: თუ ცხენისა და საქონლისა: თუ ვენახისა, და მოსაელისა: თუ ვეცხლისა და ოქროსა: თუ სხვის შეენიერებისა, და კეკლუცად ქცევისა: თუ ტანთ-სამოსისა სხვისა რისამე, სამკაულისა, ამაების გულის-თქმა გქონია, და გინატრია ნეტაი მე მამცა:

Oთუ ან რომლისამე ცოდვისა გულში ნდომა, და გულის-თქმა გქონია, ეს გულის-თქმა დიდხანსა, თუ ცოტა ხანსა აღიარე:

ან თუ რაც რამ სათხოვარი განდომეია, ის კიდეც მოგცემია, მაგრამ კიდევ იმაზედ მეტი მოგინდომია.

შეწირულება.

დაგით ალმა შენებელის სამლოცველოს განსაანსლებლად და წმ. მოწამეთა დაგით და კონსტანტინეს კუბოს მოსაბოძებლად ჩვენ მიგიღეთ შეწირულება შემდეგ პირთაგან:

საქარის წმ. გიორგის ეკეკლესიის მღვდელმონაზონ ბარბაქიძისაგან ხუთი მანეთი და სამი აბაზი, რომელიც მას შეუგროგებია მისდამი რწმუნებულ სამრეკლოში . .	5 მ. 60 კ.

ა ზ. სამსონ ბერის ძის მაჭავარიანისაგან მოგვიგია ერთი თუმანი, რომელიც შეკრებილა შემდეგ პირთაგან:

თვითონ სამსონ ბერის ძის მაჭავარიანისაგან	3 მან.
მაგრინე იოსების ასულის მაჭავარიანისაგან	3 »
ივანე გრიგორის ძის გოცირიძისაგან . .	1 »
ბიქტორ ათანასის ძის ჯაფარიძისაგან .	1 »
ა ზ. ივანე სამსონის ძის მაჭავარიანისაგან	1 »
ნინო სამსონ მაჭავარიანის ასულისაგან	1 »

რუფოლის სოფლის წმ. გიორგის ეკეკლესიის მღვ. მ. ოანნე სალაძისაგან მიგიღეთ ცხრამეტი მანეთი ₰ 15 კაპ. ეს ფულები შეუგროგებია მას მისდამი რწმუნებულ სამრეკლოის კეთილ მნებელ შემწირველ პირთაგან . 19 მ. 15 კ.

სულ . . 34 მ. 75 კ.

რედაქციის პასუხი.

ბ-ლ. დ. ბარნაბოვს. დაბარებული წიგნები კასპში დაუტოვეთ თქვენსა ბიძოასცემად, მაგრამ თქვენს კაცს ვერ მიეგნო და უკანვე დამბრუნეს. ხელ ბეგზანებით ფოსტით.

მღვ. ანს. ჭელ—ძეს. თქვენ 5 მ. გამოგზავნეთ მწყემსისათვის და ჩვენ რეფერული გამოცემაც გამოგიგზავნეთ და რაზედ მოგდასით გული, არ ვიცით!..

ვ. ჯ—